



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



1/106



13/03/2020

მცველის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის, „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 და 24-ე მუხლების, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №108 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს კერძო დაცვით ორგანიზაციასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის დაცვის განმახორციელებელი ფიზიკური პირისთვის განსაზღვრული „მცველის მოწმობა“ თანდართული სახით.
2. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს მცველის მოწმობის დამზადება და გაცემა არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადით.
3. კერძო დაცვითი ორგანიზაცია ვალდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს:
 - ა) ჩააბაროს ვადაგასული ან ვადაზე ადრე ჩამორთმეული მცველის მოწმობა;
 - ბ) წერილობით აცნობოს მცველის მოწმობის დაკარგვის თაობაზე.
4. ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაცემული მცველის მოწმობა ძალაშია მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კერძო დაცვითი ორგანიზაციის მცველის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის №1/319 ბრძანება.


6. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციას (დეპარტამენტი) უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნება.

7. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებული პირებისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური





მოწმობის წინა მხარე

მოწმობა დაბეჭდილია პლასტიკურ ბარათზე (ფონი - ლურჯი და თეთრი ფერის სხვადასხვა გრადაცია).

მარცხენა ზედა კუთხეში განთავსებულია საქართველოს რუკისა და სახელმწიფო დროშის კომბინაცია, ზედა მარჯვენა ნაწილში კი წარწერა „მცველის მოწმობა“.

მოწმობის მარცხენა კიდედან თავსდება ფოტოსურათი ზომით 3X4, რომლის ქვეშაც გამოსახულია ხუთნიშნა უნიკალური კოდი.

მოწმობის ცენტრალური ნაწილი მოიცავს ძირითად ინფორმაციას: მცველის სახელი და გვარი, კერძო დაცვითი ორგანიზაციის დასახელება, მცველის სტატუსი, მოწმობის გაცემაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, მოწმობის მოქმედების ვადა და გამცემი ორგანოს სრული დასახელება. ცენტრალურ ნაწილს ფონად ადევს გრაფიკული ბადე და კერძო დაცვითი ორგანიზაციის ლოგოტიპის ვიზუალი.

მოწმობის უკანა მხარე

მოწმობის უკანა მხარე თეთრია და მასზე არავითარი ინფორმაცია არ არის განთავსებული.